№ 208
სამშაბათი, 25 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 208
სამშაბათი, 25 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 2?
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ბუღალტერიისა და საკანტორო ცოდნათა

კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან
(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ნემეცურის ენისა** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—6.—8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ქუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

უ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(ქუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოროღნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ჩ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—3)

ექიმი

ვასილი მიხეილის-ძე

მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—18).

ახალი ამბავი

—

** წირვა დღეს, 25 სექტემბერს, დილის 9 საათზედ, დაიწყება სიონის საკრებულო ტაძარში. მწირველნი იქმნებიან საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე და კავკასიის სხვა-და-სხვა მხრიდგან საიუბილეოდ ჩამოსულნი ეპისკოპოსნი. წირვის შემდეგ, დილის 11½ საათზედ, პანაშვიდი დაიწყება. წირვასა და პანაშვიდს დაესწრებიან მისი უდიდებულესობა ბერძნების დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე და მათნი უმაღლესობანი საბერძნეთის მეფის ძენი ანდრია და ქრისტეფორე, რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებიდგან მოწვეულნი თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, კავკასიის გუბერნატორები, გენერლები, თავად-აზნაურობა და სხ.

** ქუთაისიდგანა გვწერენ: „კონტრაბანდისტებისა გამო“ ოლქის სასამართლომ შემდეგი მსჯავრი დასდო ბრალდებულთ: სტ. ნიკოლოოზ ლორთქიფანიძეს ჯარიმად გარდახდეს 150 მანეთი, სტ. ნინიძეს 100 მანეთი, სტ. კანდელაკს 50 მან. და გლეხს ილია აფხაიძეს 5 მან. საზოგადო საკრებულო ადგილას წესიერების დარღვევისათვის.

ფელეტონი

—

საბიბლიოგრაფიო შენიშვნები

ავალიშვილის „Присоединеніе Грузіи къ Россіи“, 1901 г. С. П.

II.

რამოდენადაც შეიძლებოდა, ჩვენ ვუჩვენეთ,— რა გარემოებამ უფრო დაასწრაფა საქართველოს რუსეთთან შეერთება. ბ-ნის ავალიშვილის აზრით, ესეთი შეერთება ყოვლად აუცილებელი იყო, რადგანაც, ძველ დროიდგანვე, თვით საქართველო მიიწევდა რუსეთისკენ, ეძებდა მის ბატონობას და ქვეშევრდომობას. მაგრამ პეტრე დიდის და ეკატირინე მეორის პოლიტიკა სხვას გვაუწყებს,—ცხადია, რომ რუსეთიც ხელს უწყობდა საქართველოს სურვილსა და წადილს. დიდმა პეტრემ და ბრწყინვალე ეკატირინემ, დიპლომატიის მეოხებით, საქართველოს მდგომარეობა ისრე მოაწყეს, რომ ჩვენს სამშობლოს, რუსეთის გარეშე, სხვა საშველი აღარ ჰქონდა და მართლაც იმ ჟამიდგან „სტიქიონურად“ მიეჩქარებოდა „მესამე რომისკენ“. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1783 წლის ხელ-შეკრულებას, რომლითაც მეფე ერეკლემ აღიარა რუსეთის უზენაესი მფარველობა. ამ ხელ-შეკრულებას საბაბად და საფუძვლად მარტო ცალ-კერძო სურვილი საქართველოს მეფისა როდი ჰქონია,—არა, რუსეთის დიპლომატიაც სცდილობდა, რომ საქართველო ნელ-ნელა შეეერთებინა. და რომ ავტორის ზოგადი მოსაზრება უსაგნოა და უნიადაგო, ამას თვით იმპერატრიცა ეკატირინე ამტკიცებს. ხსენებულ ხელ-შეკრულების დადება იმპერატრიცას ისრე ესიამოვნა, რომ ნიშნად კმაყოფილებისა პავლე პოტემკინს ფეშქაშად ძვირფასი ბურნუთის კოლოფი და ექვსასი თუმანი უბოძა,—მადლობელი ვარ, რომ „Грузинское дѣло“ კარგად მოაწყეო. ისტორიულ საბუთებიდგან (აი თუნდ იმათგან, რომელნიც პროფ. ცაგარელმა გამოაქვეყნა) პირდაპირ სჩანს, რომ სახელოვანს იმპერატრიცას მხოლოდ უდროოდ მიაჩნდა საქართველოს შეერთება. ავტორი-კი ამ შეერთების სურვილს მარტო საქართველოს აჰკვევს თავზედ...

თავისის თხზულების პირველ ნაწილში ავტორი ნუსხავს და ნათელს ჰფენს იმ ისტორიულ ამბებს, რომლებმაც მოამზადეს ფაქტიური შეერთება. აქ ავტორი ალაგ-ალაგ უცნაურს აზრებს ქადაგებს, თითქო შიგა-და-შიგ კიდეც ბორკობს. ზოგიერთი მისი შეხედულება და დასკვნა მართლაც და გაოცებთ, გაკვირვებთ. ხანდახან ისრე გაბედულად და —თუ გნებავთ—კადნიერად ბჭობს, რომ ახალგაზდა მკვლევარს იქმნება აჩქარებაც უკიჟინოთ. აშკარაა, ბ-ნი ავალიშვილი ჯერ ჩვეული არ არის რთულსა და მრავალ-მხრივანს ისტორიულს მოვლენას ფრთხილად და დინჯად გზა და კვალი გაუკაფოს, მიზეზი მოუძებნოს. სულ სხვა ღირსებისა და ფასისაა წიგნის მეორე ნაწილი, სწორედ ის ნაწილი, სადაც ავტორი გვიამბობს,—თუ რა არის შეერთება ერთის სახელმწიფოსი მეორესთან და, კერძოდ, როგორ შეერთდა საქართველო რუსეთთან. აქ ავტორი „თავისს როლშია“ და კერძო საგანს და საკითხს საოცარის ლოგიკით და გამჭრიახობით იკვლევს და იძიებს. ავტორი ამბობს, შეერთება იურიდიული აქტია, ხელ-შეკრულების ბუნებისაა და ამიტომ ურთიერთის ნება-ყოფლობაზედ უნდა იყვეს დამყარებული. ასეთი მეთოდი და აზრის მიმდინარეობა დიაღ საყურადღებოა და ავტორიც მადლობის ღირსია, რომ ამ გზით შეუდგა ძიებას... მერე თითონ თქვენ უნდა წაიკითხოთ, რა ნათლადა და მართლად არკვევს ავტორი თავისს საგანს!..

პირველ წერილში აღვნიშნეთ, რომ 1783 წლის ხელ-შეკრულების ძალით რუსის ჯარი უნდა მდგარიყო საქართველოში იმის სამხღვრებისა და უშიშრად ყოფნის დასაცველად. უმთავრესად ამისათვის დაიდვა ხელ-შეკრულება და მეფემაც იმიტომ გადასცა უზენაესი უფლება რუსეთს. საქმით სხვა მოხდა. საქართველოს დედა-ქალაქი აღამაჰმად ხანისგან მიწასთან გასწორებული იყო, როცა რუსის ჯარი მოვიდა. ეს კიდევ არაფერი,—ჯარი ისევ მალე გაიყვანეს საქართველოდგან. გაჭირვებული მეფე ერეკლე დიდად დაღონდა და გარსევან ჭავჭავაძე განგებ რუსეთში გაგზავნა თხოვნითა და ხვეწნით,—დავიღუპებით, გააფთრებულ და განრისხებულ მტერს ვერ გაუძლებთო. ჭავჭავაძემ პირდაპირ გამოუცხადა, თუ თხოვნას არ შეასრულებთ, მაშ 1783 წლის ხელ-შეკრულება გაუქმებული იქმნება და საქართველო თითონ უშველის თავსაო, მეზობლებს როგორმე მოურიგდებაო. რასაკვირველია, ამ მუქარამაც ფუჭად ჩაიარა და რუსეთს საქართველოსთვის არა სცალოდა. ამასობაში მეფე ერეკლე გარდაიცვალა (11 იანვარს 1798 წელს).

ავტორი ცხადად ამტკიცებს, რომ საქართველო მტკიცედ ადგა ხელ-შეკრულებას და სინიდისიერად ასრულებდა პირობას. გარდაიცვალა თუ არა მეფე ერეკლე, უმალ მისი მემკვიდრე გიორგი ტახტზედ აბძანდა და ეს ამბავი რუსეთის იმპერატორს შეატყობინა. ხელ-შეკრულების თანახმად, იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა მეფე და სამეფო ნიშნები ებოძა (სკიპტრა, კვერთხი, გვირგვინი და სხ.). სწორედ ეგრედაც მოხდა 18 აპრილს 1799 წელს. ამ დროიდგან საქართველოს ისტორიულმა ჩარხმა სხვა ფრივ დაიწყო ბრუნვა და დიდის ხნიდგან განძრახული შეერთება მალე ფაქტად გარდაიქცა.

უსამართლობა იქმნება, რომ ბრალი საქართველოსაც არ დავდოთ. მეფე

⁂ „С. Петербургскія Вѣдомости“-ს № 257 დაბეჭდილია პირველი წერილი Настоящій грузинъ-ისა „письма изъ грузіи“, რომელშიაც ავტორს იმავე გაზეთში დაბეჭდილ „Грузинъ“-ის წერილის წინააღმდეგ მოჰყავს მაგალითები.

⁂ უმართებულესის სენატის განმარტებით, შეიძლება თურმე სოფლებში მდებარე არა გლეხთა წოდების კერძო კაცთა შენობების დაზღვევაც სავალდებულოდ შეიქმნეს.

⁂ ტფილისის გუბერნიაში საფაბრიკო ინსპექციის შემოღების შესახებ პროექტი იქმნება მალე სახელმწიფო საბჭოში წარდგენილი, იწერებიან სატახტო ქალაქის გაზეთები.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი თავისს მაგივრად პეტერბურგში თავისს თანაშემწეს ინჟენერს შაიკევიჩსა ჰგზავნის, რომელიც დღეს, 25 სექტემბერს, გავა ტფილისიდგან.

⁂ როგორც უმართებულესი სენატი განმარტავს, უწმიდ. სინოდის სამრევლო-საეკლესიო, ორ-კლასიან და სამასწავლებლო სკოლების საჭიროებათათვის შეძენილ უძრავ მამულებზედ არავითარი ნასყიდობის გარდასახადი თურმე არ უნდა გაიღონ.

⁂ კვირას ტფილისში ჩამოვიდნენ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ა. ა. კალაჩევი და ერევნის გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი.

⁂ რადგანაც რუსეთის შიდა გუბერნიებში ბევრს ადგილას მოსავალი მეტად ნაკლები მოვიდა, რუსეთის სახაზინო რკინის გზების სამმართველოს უთხოვნია ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსათვის, მომავალს ზამთარს რაც შეიძლება ბლომად მიიღოს აქედგან ჩამოსული მუშები. ამიერ-კავკასიის რკინის გზას 200 მუშის მიღება აღუთქვამს ყარსის რკინის გზაზედ.

⁂ მალე უმართებულესს სენატს პროექტს წარუდგენენ იმის შესახებ, რომ რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში საკუთარი ცენზორები იქმნენ დანიშნულნი.

⁂ როგორც „Кавказъ“ შეუტყვია, ქალაქის საბჭოს მდივანს ჭრელაშვილს თანხმობა თურმე განუცხადებია გამგეობის წევრობაზედ არჩევანისა, თუ რომ მისს კანდიდატობას ვინმე დაასახელებს.

⁂ მისის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა და ელინთა დედოფლის მობრძანებისა გამო ტფილისის საბჭოს სხდომა 24 სექტემბერს არ შესდგა.

⁂ 23 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გასტეხეს ტფილისის ქალაქის კასა, საიდგანაც მოიპარეს ფულად 6,000 მანეთამდე და ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის გაუნაღდებელი ოთხი ათასამდე ობლიგაცია, სულ 592,000 მანეთისა. ქურდობა ამ ნაირად მომხდარა: ამ დღეს დარაჯად ტიხონ ციბულენკო ყოფილა დანიშნული, რომელსაც კასსის ოთახის გასაღები ჰქონია ჩაბარებული. საღამოს 5 საათზედ სამეცადინოდ მისულა ბუხგალტერი იაქშიბეკოვი, მოხელენი ტერ-აბრამოვი და ალავერდოვი და მოუთხოვნიათ საკასსო ოთახის გასაღები სამეცადინოთ; დარაჯსაც გაუღია ოთახი, აღნიშნული მოხელენი დაუტოვებია და თითონ გამოსულა ქალაქის გამგეობაში, სადაც იმ დროს საიუბილეო კომისიას სხდომა ჰქონია. კომისსიას, როგორც ციბულენკომ განაცხადა, სხვა-და-სხვა წვრიმალ საქმეების გაკეთება დაუვალებია და 9 საათამდე თავისს ადგილზედ აღარ დაბრუნებულა. როცა მოჰგონებია, რომ ეხლა-კი დროა ოთახის დაკეტვისა და დალაგებისაო, ციბულენკო საკასო ოთახში წასულა. ამას მაშინვე შეუმჩნევია, რომ ნივთები აქეთ-იქით მიმოყრილია და კასსა გატეხილი; მაშინათვე გამობრუნებულა და შეუტყობინებია გამგეობის დარბაზში მყოფ ქალაქის მოურავის მოადგილის ბ-ნის შესტაკოვისათვის. მაშინათვე ყველა იქ დამსწრენი წასულან და უნახავთ, რომ კასსა გატეხილია, რაიცა დაუყოვნებლივ პოლიციისათვის უცნობებიათ.

პოლიცია იმ ღამითვე შეუდგა გამოძიებას, მაგრამ ხელ-ჩასაჭიდებელი საბუთები ჯერ ვერა აღმოუჩენია რა, თუ ვინ და როგორ ჩაიდინა ეს ბოროტ-მოქმედება. პოლიციამ დააპატიმრა: აღნიშნული დარაჯი ციბულენკო და მოხელენი ალავერდოვი, ტერ-აბრამოვი და იაქშიბეკოვი. ამ ამბის გამო გუშინ ქალაქის გამგეობამ დეპეშა გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს განკარგულება იქმნეს მომხდარი, რომ ბირჟაზედ ტფილისის ქალაქის მესამე საობლიგაციო ფურცლების განაღდება შეჩერებული იქმნეს.

კავკასიის გამოფენა.

მეღვინეობისა და მევენახობის განყოფილება.

ჩვენ მიერ განხილულ განყოფილებებს ბევრით არც ეს, მეღვინეობისა და მევენახობის, განყოფილება სჯობია. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, გარეგნობით იგი ბევრს სხვა განყოფილებაზედ უფრო ლამაზია. კერძო ღვინის ვაჭართ მრავალი პატარა კოხტა ფარდულები გაუმართავთ. მაგრამ ამ ფარდულებში კაცი ბოთლების მეტს ვერაფერს შეჰხვდება. საზოგადოდ მთელი განყოფილება ბოთლების ერთ დიდ საწყობს წარმოადგენს; თითქოს ღვინის ბოთლების ნახვა ტფილისის ღვინის სარდაფებსა და დუქნებშიკი არ შეიძლებოდეს!..

ყურადღებას იქცევს ამ განყოფილებაში მხოლოდ საუფლის-წულო უწყების ნაწილი. როგორც ვუწყით, საუფლის-წულო უწყებას დიდძალი მამული აქვს კავკასიაში. იგი, მევენახობის გარდა, ჩაის, ვარდის და სხვა ძვირფას მცენარეულობის მოშენებასაც მისდევს. ამ უწყებას გამოფენილი აქვს ჩაქვის მამულის ჩაი, ჩაის ბუჩქი, თესლი და ფოთოლი. კედლებზედ გაკრულია საინტერესო სურათები ჩაის პლანტაციებისა. გამოფენილია აგრეთვე ყურძენი სხვა-და-სხვა ჯიშისა, ღვინოები, ვაზის სამყნობი ტოტები და სხვა. აქვეა ვარდისაგან დამზადებული ზეთი. ორი თუ სამი წელიწადია საუფლისწულო უწყებამ კახეთში ვარდის პლანტაცია გააშენა. წელს მოუკრეფია ეს პლანტაცია და ზეთი დაუმზადებია. ერთ დესეტინაზედ მოკრეფილ ვარდს 4 გირვანქა და ერთი მისხალი ზეთი მოუცია. გირვანქა 200 მანეთად იყიდება. საჭიროა ჩვენმა მემამულეებმა ყურადღება მიაქციონ ამ ძვირფასს მცენარეს და იმის კულტურას შეუდგნენ. როგორცა ჰხედავთ, პირველ წელსვე ვარდის პლანტაციის ერთ დესეტინას 1000 მანეთამდე შემოსავალი ჰქონია. საყურადღებოა აგრეთვე ქაღალდის ხე, რომელიც ჩაქვის მამულში ხარობს. ამ ხის ქერქისაგან მშვენიერი გასახვევი ქაღალდი დაუმზადებიათ. ეს ქაღალდი მეტად მკვიდრი და მაგარი რამ არის. საუფლისწულო უწყებასვე გამოფენაზედ მოუტანია სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველი ზარბაზანი (მარტირა).

დანარჩენ ექსპონატების განხილვა დაწვრილებით არა ღირს, როგორცა ვთქვით, ღვინით სავსე ბოთლების მეტი არაფერია. კოხტა პატარა ფარდულები ბოთლების დასაწყობად გამართული აქვთ „კახეთის ამხანაგობას, „მელანია“-ს, მაკაროვს, ი. კილელიშვილს, კუზნოვს, „ჯორჯაძის“ ფირმას, აბამელიქოვსა და მამულოვს, კარაკოზოვს, ავალიანს („იმერეთი“), კურდღელაშვილს, ტარასოვს, ვაჟიკაშვილს და სხვას. სამ-სამი და ოთხ-ოთხი ბოთლი ღვინო, უთუოდ ჯილდოების მისაღებად, ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა ღვინის ვაჭარსა აქვს გამოფენილი.

დასასრულ გამოფენილია კიდევ ორიოდე მანქანა დ[illegible]ლებსაც მეღვინეობასა და მევენახობაში ხმარობენ.

⁂

დღეს, 25 სექტემბერს, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენას დაათვალიერებენ, სხვათა შორის, ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფენი, ბაქოს გიმნაზიის 80 მოსწავლე და ბაქოსვე ტეხნიკურ სასწავლებლის მოსწავლენი.

დაბა და სოფელი

სოფ. ვურზუ (ზუგდიდის მაზრა). 15 სექტემბერს აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამავე სოფლის მცხოვრები მთავარ-დიაკონი ილია ბერულავა სტუმრად წასულიყო სხვაგან. შინ დაბრუნებისას მდინარე „ოჩხომურის“ წყალს უნდა გასულიყო. შევიდა თუ არა წყალში, ნაწვიმარმა მდინარემ უცბად ძალზედ იმატა, ცხენი წაუქცია და დიაკონი დაარჩო.

წელს აქეთ შარშანდელიზედ ნაკლებს მოსავალს მოელიან. სიმინდები პატარა ტაროიანია. ეს სოფელი და იმის ახლო-მახლო სოფლები აქამდე ღვინის მოსავლით გათქმული იყო, მაგრამ წელს მრავალია უღვინოთ დარჩენილი, რაიცა აქაურებისათვის მეტად საგრძნობელი ზარალია. მით უმეტეს, რომ აქაურს ღვინოებს დიდი ბაზარი ჰქონდა. სხვა სოფლებში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა აქეთ ამ ზაფხულს ხშირი იყო, მაგრამ ზარალი არ მოჰქონდა...

ტელეფონი.

ახალ-სენაკი. სამშაბათს, 18 ამ თვეს, აქაურებმა გამოსათხოვებელი სადილი გაუმართეს სენაკის მაზრის ხაზინადარს ბ-ნს ვასილ მერაბის ძე ლომინაძეს, რომელიც მთავრობის მიერ ამავე თანამდებობაზედ ქ. ბათუმში იქნა გადაყვანილი. მართალია, აქაურები ხშირ

გიორგი გულ-მხურვალე მამულის შვილი იყო, სამშობლო და ერი ძლიერ უყვარდა, მაგრამ მაინც ამისთანა კაცი იმ დროინდელ საქართველოს ნამდვილს მეფობას ვერ გაუწევდა. აბა შეისწავლეთ იმისი ცხოვრება, თუ მართალს არ ვამბობთ. ტახტსა და ქვეყანას ძალუმი მარჯვენა ესაჭიროებოდა, ხოლო მეფე გიორგი წყალ მანკისგან დაუძლურებული იყო და ღონე მიხდილი სრა-სასახლეში იმყოფებოდა. სამეფო ენერგიულს ზრუნვას თხოულობდა, მეფე კი ბავშვებს „იწილობიწილოს“ ეთამაშებოდა და თანაც ბრაზობდა, ქალაქში ჩემს შესახებ რად ჭორიკანობენო. ამ დროისთვის საჭირო იყო სალი და მკვირცხლი გონება, რომელიც დროთა ვითარებას და ჟამთა სიავეს არწივისებრ მსწრაფლად სწვდება და ითვალისწინებს, ხოლო ჩვენი მეფე-კი განუწყვეტლივ „დაუჯდომელს“ კითხულობდა და ძილის პირებს გალობდა. ასეთი კეთილი და ღვთის მოსავი გვამი შიომღვიმის სენაკში უნდა ბძანებულიყო და არა სამეფო ტახტზედ, რომლის გარეშემო ღალატი ღალაღ პარპაშებდა და განხეთქილება ღელავდა... მაგრამ თავი დავანებოთ ამ სურათს.

შეერთებას ხელი შეუწყო ერეკლე მეფის ერთმა მოქმედებამაც. საქმე აი როგორ მოხდა. საოცარის ძალისა და თაოსნობის პატრონი მეფე, სიბერის დროს, თავისის მეუღლის, დედოფალ დარეჯანის ზედმოქმედებას დაემონავა და მემკვიდრეობის წესი და რიგი შესცვალა. ახალ მემკვიდრეობის ძალითა გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ, სამეფო ტახტზედ უნდა ასულიყო იმის უფროსი ძმა იულონი და არა მეფე გიორგის შვილი დავითი. ამ გარემოებამ დიდი შფოთი და არეულობა დაჰბადა მეფის საგვარეულოში და საქართველო ორ დასად გაჰყო, ორად გააპო. ასტყდა შუღლი და ქიშპობა. დანარჩენმა ბატონიშვილებმაც ცალ-ცალკე გაიწიეს და მრავალ-წამებულ ჩვენს სამშობლოში ნამდვილი ბიბლიური ბაბილონის გოდოლი დაარსდა... არც ეს სურათია სასიამოვნო სანახავი და მოდი ამასაც თვალი მოვაშოროთ.

მეფე გიორგი აშკარად ჰხედავდა, რა განსაცდელიც მოელოდა სამშობლოს. რასაკვირველია, იმისთვის ცხადი იყო ეგრეთვე, რომ 1783 წლის ხელშეკრულებამაც ამაოდ ჩაიარა. ავტორი ამბობს, ამ გარემოებათა მიხედვით, მეფეს სურდა უფრო მჭიდროდ შეჰკროდა რუსეთს პირობით და განიძრახა, მეტი უფლება და ძალა გარდაეცა რუსეთის იმპერატორისთვის და ამა საშუალებით სამშობლოსთვის ეშველაო. აქ ახალი არაფერია. საქართველო რუსეთისკენ იმიტომ მიეშურებოდა, რომ შველასა და ხსნას მოელოდა მისგან. საყურადღებო ის არის, თუ რა დიდი ნაბიჯი გადასდგა შეერთების მსვლელობამ 1783 წლიდგან 1800 წლის დამდეგამდე. მაშინ მეფე ერეკლემ მხოლოდ მფარველობა სთხოვა და მიიღო კიდეც. ახლა ამისი მემკვიდრე, მეფე გიორგი, ბაგრატიონთა ტახტზედ თითქმის ხელს იღებდა, ქვეშევრდომობას თხოულობდა და რუსეთის იმპერატორის თანამოადგილეთ თავს აღიარებდა (наслѣдственный намѣстникъ). მაგრამ რა საკვირველია, როცა საქართველოს მდგომარეობა დღითი-დღე ისრე ვაგლახდებოდა, რომ იმ ჩვიდმეტ წლის განმავლობაში მკვიდრთა რიცხვი განახევრდა და მთელ სამეფოში ოცდა თხუთმეტი ათასი კომლი-ღა ითვლებოდაო (ზოგნი ამბობენ, რვაასსი ათასი სული იყოო, ჰნორინგი-კი სწერდა, ასს სამოცდა ათასი სულიც მებევრებაო...) ყოველ შემთხვევაში, დროთა ვითარებამ უძლურს მეფეს ძალა დაატანა და სრულიად გააუქმებინა 1783 წლის ხელშეკრულება.

იმას მოგახსენებთ, რომ 1800 წლის დამდეგ გიორგი მეფემ პეტერბურგში გაგზავნა გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი და უბოძა ეგრედ წოდებული უწყება (нота) თექვსმეტ მუხლოვან თხოვნით (просительные пункты).

მეფეს ატყობინებდენ, თქვენი სურვილი რუსეთის ქვეშევრდომად აღიარებისა უეჭველად ურთიერთის პირობის ფორმით მოხდება და ხელშეკრულებით აღიბეჭდებაო. ასე სწერდა როსტოპჩინი. ჩვენი ავტორი ამ ამბავს ჯეროვანს მნიშვნელობას აწერს. მართლაც და, იურიდიულად მეფეს სრული ნება ჰქონდა თავისი ტახტი რუსეთისთვის გარდაეცა. აქ საჭირო იყო მხოლოდ მეფისა და იმპერატორის ნება-ყოფლობა. მაგრამ ავტორი საბუთებით ამტკიცებს, რომ ნება-ყოფლობა, ურთიერთი თანხმობა, რომელიც იურიდიულად მიუცილებლივ საჭირო იყო შეერთებისთვის, შემდეგში უარყოფილ იქმნაო და ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

მერე, როცა დესპანნი მიიღეს და ყოველივე მოისმინეს, იმათ უბრძანეს—უკანვე დაბრუნდით და თან მოიტანეთ ხელ-მოწერილი ქაღალდი ქვეშევრდომობის სურვილისაო. დესპანნი დაბრუნდნენ. 18 დეკემბერს 1800 წ. იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. მეფე გარდაიცვალა 28 დეკემბერს, მანიფესტის გამოცემიდგან ათის დღის შემდეგ. საქართველოში მანიფესტი მიიღეს და გამოაცხადეს 16 თებერვალს 1801 წელს. იქ ეწერა, რომ საქართველო ამიერიდგან რუსეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენს და მის პროვინციად ითვლებაო.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება).

უმართავენ ხოლმე აქედგან სხვაგან გადაყვანილ სამსახურის კაცებს სადილს, მაგრამ ლომინაძეს, სხვებთან შედარებით, გაცილებით მეტი ყურადღება ჰქონდა დამსახურებული მთელს სენაკის მაზრაში თავისის მტკიცე, შეურყეველისა და პატიოსანი ხასიათით. ამიტომაც მისს აქედგან გადაყვანას დღეს ყველა დიდათა სწუხს. არ დაწყებულა სენაკში არც ერთი საზოგადო საქმე, რომლისთვისაც ვასილ ლომინაძეს ერთგულად მხარი არ დაეჭიროს, შეძლების დაგვარად არ დაჰხმარებოდეს; არა თუ მარტო იგი, მთელი მისი ოჯახობაც-კი ასრევე იქცეოდა. არა მცირედი შრომა და გარჯა მიუძღვის აგრეთვე მისს ასულს ანასტასიას აქაურ ორ-კლასიან სამრევლო საეკკლესიო სკოლის წინაშე, რომლის მასწავლებლადაც იყო დაარსებიდგანვე.

გამოთხოვების დღეს ანასტასია ლომინაძეს ასულს მისმა მოსწავლეებმა ღვთის-მშობლის ვერცხლის ხატი მიართვეს და საზოგადოებამ კიდევ თავისს მხრივ ერთი დუჟინი ვერცხლის ჩაის კოვზი, ხოლო ბ-ნს ვასილ ლომინაძეს მშვენიერი ოქროს საათი. სადილს მრავალი ხალხი დაესწრო, წოდებისა განურჩევლად, და ბევრი გრძნობიერი სიტყვაც წარმოითქვა, რომელშიაც ბ-ნის ლომინაძის სიმპატიურს მოქმედებას ახასიათებდნენ.

ტრიფონ კალანდარიშვილი

ქართული თეატრი

„ირინეს ბედნიერება“, სცენები სოფლის ცხოვრებიდგან, 2 მოქ., დ. კლდიაშვილისა. „პირველი ბუზი“, კომ. 3 მოქმ., გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

ბ-ნ კლდიაშვილს კარგი უნებებია, რომ თავის პიესის „ირინეს ბედნიერებისათვის“ სცენები უწოდებია. ავტორი გვიხატავს ამ „სცენებში“ იმავე იმერელ თავად-აზნაურობის ცხოვრებას, რომელიც იმის ბელეტრისტულ ნაწერების შინაარს შეადგენს. პირველ მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ ნადიმს იმერელ აზნაურის ოჯახში. ფარდის ახდისავე ყურადღებას იქცევს თავისს უწმაწური სიტყვა-პასუხითა და ღვირ-აშვებულის ქცევით აბესალო სალამთაძე. ესაა უმთავრესი გმირი პიესისა—ახალგაზრდა ხმალ-ხანჯლოსანი თავადი, რომლის ერთად-ერთ საქმესაც ქეიფ-ნადიმები და ამ ნადიმების დროს ჩხუბი-დავიდარაბა შეადგენს. აბესალო პირველ მოქმედებაშივე მოსვენებას არ აძლევს მასპინძლის ქალს, ლამაზს ირინეს, აშკარად, ყველას თვალწინ ეარშიყება და ბოლოს ცოლად გაყოლასაც სთხოვს. ასე ლაღად და თავ-დაუჭერად აბესალო იქცევა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთია ამ ბრწყინვალე თავადის ბუნება, შედეგი აღზრდისა და წრისა, მეორე—მთვრალია და მესამე—იმავე ნადიმზედ მყოფ როდამაშვილის ჯავრის ამოყრას სცდილობს, რადგანაც ირინე ამ „ვიღაც აზნაურს“ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე აბესალოს. მამა ირინესი სიხარულით ცას ეწევა, როდესაც აბესალო უცხადებს, შენი ქალი მამათხოვეო, და არაფრად აგდებს არც ნაცნობების რჩევას, არც ქალის ხვეწნა-მუდარა-ტირილს და თავის ქალს „დიდისა და წარჩინებულის“ ოჯახის შვილს აბესალოს აძლევს. რასაკვირველია, ასეთ შეუფერებელ შეუღლებას ბედნიერი ცხოვრება ვერ მოჰყვებოდა, და აი მეორე მოქმედებაში ავტორი გვაცნობებს სწორედ ამ უბედურ ცხოვრებას ანუ ირინეს „ბედნიერებას“, როგორც თვით ავტორი ეძახის პიესას. აბესალო ქეიფ-ნადიმებს უფრო ბევრად ეძლევა, ვიდრე წინად. ცოლ-ქმარს შუა „ხიდი ჩატეხილი“ აღმოჩნდება. ხელს უწყობს ამას ეჭვიც, რომელსაც ეძლევა აბესალო ერთის სადილის შემდეგ, სადაც მიაძახეს, „უკეთესი იქნება, შენს ცოლს უგდო ყურიო“. ჭორი ირინეს შესახებ მთელს სოფელს ედება. თვით მამა ირინესი, ამ ჭორით შეშფოთებული და შეწუხებული, როდამიშვილთან ერთად (როდამიშვილსა სწამებდნენ ირინესთან დაახლოვებას) სიძის სახლში მიდის ჭეშმარიტების გასაგებად. ჭორის თაობაზედ ლაპარაკის დროს, როდესაც როდამიშვილი საჯაროდ ეფიცება აბესალოს, არაფერი კავშირი არა მაქვს ირინესთანაო, ხოლო ეს უკანასკნელი მკაცრად ჰკიცხავს ქმარს ურიგო ცხოვრებისა და ჭორების დაჯერებისათვის, გაბრაზებული და გამხეცებული აბესალო მიჰვარდება ცოლს და ხანჯალს დაჰკრავს. ამითი თავდება პიესა.

პიესაში, აბესალოსა ძ რამოდენადმე ირინეს მამის ფილიპეს გარდა, დანარჩენნი მომქმედნი პირნი მკრთალად არიან დახატულნი, განსაკუთრებით ირინე. თვით აბესალოს ხასიათიც ბოლომდე არ არის დაცული: საეჭვოა, რომ ისეთმა მხეცმა და ხანჯალზედ მაცქერალმა კაცმა, როგორიც აბესალოა, ჯავრის ამოყრა მარჯვე დროსთვის გადასდოს და დასჯას თავის ოჯახის, შემწიკვლელისას, როგორადაც როდამიშვილი მიაჩნია, დაუყოვნებლივ არ შეუდგეს. აბესალო ჰკლავს ირინეს და როდამიშვილის-კი არაფერს უშვრება. ესეც არ შეეფერება აბესალოს ხასიათს. იმ წრეში, რომელსაც ავტორი გვიხატავს, არც ისაა, ვგონებთ, წარმოსადგენი, რომ ახალგაზდა კაცი მივიდეს ოჯახში, სადაც მას მოსაკლავად არ დაინდობენ, და გამოუცხადოს საჯაროდ ქმარს, მე შენ ცოლს არა ვყვარობო. ალაგ-ალაგ პიესა გაჭიანურებულიც არის: მომქმედ პირებს სალაპარაკო ბევრი აქვთ, სამოქმედოკი ცოტა. რასაკვრელია, ავტორს ყველა ეს დიდ ცოდვად არ ჩაეთვლება, თუ გავიხსენებთ, რომ იმისი ნაწარმოები მხოლოდ სურათებს წარმოადგენს სოფლის ცხოვრებიდგან.

რაც შეეხება წარმოდგენას, ჩვენმა არტისტებმა ამ სალამოთიც ისახელეს თავი. უპირველესს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ აბესალოს როლის აღმსრულებელი ბ-ნი სვიმონიძე. ამ არტისტმა მშვენივრად დაგვიხატა თავადიშვილობითა და ხმალ-ხანჯლით გამაყებული ძ ქეიფნადიმობაში გართული იმერელი თავადიშვილი. როგორც პირველ, ისე მეორე მოქმედებაში არტისტმა როლი კარგად ჩაატარა. კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები „ირინეს ბედნიერებაში“ აგრეთვე დანარჩენმა მსახიობებმაც, განსაკუთრებით გამყრელიძემ და შათირიშვილმა. ცოტად შეუფერებელი იყო მოხუც სალამთაძის როლში მხოლოდ გედევანოვი. იგი თავისი კილოთი ნაკლებად წააგავდა დარბაისელ მოხუც იმერელ თავადიშვილს.

უფრო უკეთესად, თითქმის უნაკლულოდ ჩაიარა მეორე პიესამ „პირველმა ბუზმა.“ ამ პიესაში ყველანი საუცხოოდ ასრულებდნენ თავიანთ როლებს. ანსამბლი ჩინებული იყო. როლები ყველამ სამაგალითოდ იცოდა. ეს პიესა წინადაც არა ერთხელ წარმოუდგენიათ, მაგრამ ასე მწყობრადარც ერთ ხელ არ ჩაუტარებიათ. ქ-ნი ტასო აბაშიძე ამ სალამოთი პირველად ასრულებდა ლიზას როლს და უნდა გამოვტყდეთ, რომ ახალგაზდა არტისტმა ქალმა გონივრულად და ცოცხლად ჩაატარა იგი. უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ქ-ნი კარგარელიც. ამ მსახიობს თავის ნიჭის შესაფერი როლი ჰქონდა და კიდეც იმიტომ შეასრულა საუკეთესოდ.

საზოგადოება ცოტა მეტი დაესწრო ამ წარმოდგენას, ვიდრე წინანდელ წარმოდგენებს.

შემდეგი წარმოდგენა კვირას იქმნება, დილით. წარმოადგენენ „სამშობლოს.“

ია.

სასამართლოს მატიანე.

პროცესი „კონტრაბანდისტების“ გამო.

საბრალმდებლო ოქმი.

(შემდეგი)

როცა თეატრში უწესობა ხდებოდა, ქუჩაში შეიკრიბა ათასამდე კაცი, რომელიც სტვენდა ყოველი სტუდენტის თეატრიდგან გამოგდებაზე. განსაკუტრებით ღელავდა და ყვიროდა: არ დაანებოთ დასატუსაღებლად!!

პოლიცმეისტერი გამოვიდა ხალხთან და წინადადება მისცა დაშლილიყო, მაგრამ ხალხმა არ გაიგონა; მაშინ ლისოვსკიმ განკარგულება მოახდინა, რომ თეატრისთვის ხალხი მოეშორებინათ.

როცა პოლიციელები, დარაჯები და სალდათები შეუდგენ ამ განკარგულების ასრულებას, ხალხმა მათ ქვების სროლა დაუწყო, რის გამო ზოგიერთები დაიკრენ კიდეც.

თეატრის გარემოდგან განდევნილი ხალხი სამად გაიყო, რომელთაგან ერთი ნაწილი ბულვარში ჩაესაფრა და ორი ვორონცოვის ქუჩაზე და საგუბერნიო სამართველოს გვერდზე დადგა. რადგანაც ხალხმა ხმაურობა არ შესწყვიტა და ქვის სროლა არ დაიშალა, წესის დასაცველად პოლიცმეისტერმა ხოპერის ყაზახთა რაზმიდგან ორმოც-და-ათი ყაზახი გამოიწვია და უბრძანა ბულვარს შემორტყმოდენ, საიდგანაც ქვებს ისროდენ.

როცა ყაზახები ბულვარს შემოერტყენ, პოლიციელები და დარაჯები შიგ შევიდნენ ჩასაფრებულთა დასაჭერად, ბულვარში მყოფთ ქვები დაუშინეს. სხვათა შორის გრიგოლ პოლეჟაევმა შენიშნა, რომ ვიღაც ადგილობრივმა მცხოვრებმა მას ქვა ესროლა და იქვე ხულაში მიიმალა. დარაჯი პოლეჟაევი და ბოქაული შენგელაია მივარდნენ მას, შეაჩერეს და აღმოჩნდა სოფ. ლაშის მცხოვრები გლეხი ილია აფხაიძე, რომელსაც ხელები ახალს ტალახში ჰქონდა გასვრილი და იწმენდდა.

ზემოხსენებული ცნობილია გამოაშკარავებულის თავდაპირველ გამოძიების დროს პოლიცმეისტრის, ბოქაულების, პოლიციელების, დარაჯების და სალდათების ჩვენებით და სტ. ნინიძის ჯოხის გაშინჯვით.

სტუდენტებმა: ნ. ლორთქიფანიძემ, კირილე ნინიძემ, ალ. კანდელაკმა და გლეხმა ილია აფხაიძემ, რომელნიც გამოძიების ქვეშე იმყოფებიან და დაკითხულ იქმნენ, ვითარცა ბრალდებულნი, განაცხადეს, რომ საზოგადო ადგილზე წესის და მშვიდობის დარღვევაში და პოლიციის მოხელეთა და მათ მოსახმარებლად გამოწვეულ საპოლიციო დარაჯთა და კურინის ქვეითა რაზმის სალდათების შეურაცხყოფაში დამნაშავედ თავი არ მიაჩნიათ; ამასთანავე ახსნეს შემდეგი: ნიკოლოოზ ლორთქიფანიძემ—სტვენით მე მინდოდა პიესის—„კონტრაბანდისტების“ და იმის აღმსრულებელთა განკიცხვის გამოცხადება. მე არაფერი თავხედობა არ ჩამიდენია და არც ვისმესათვის მიცემია და ეგ არც შემეძლო, რადგანაც თვითვე შევიქენ მსხვერპლი პოლიციელთა, დარაჯთა და სალდათების ძალ-მომრეობისა: როცა ორი პოლიციელი მომვარდა და აქეთ-იქით ქაჩვა დამიწყეს, მე არაფერი წინააღმდეგობა არ გამიწევია, მხოლოდ ვთხოულობდი, რომ გავეშვით პოლიცმეისტრის თანაშემწესთან, რომ თავი დამეფარა იმ მუშტებისაგან, სტუდენტებს რომ ურთავდნენ, მაგრამ ამ დროს მეორე თუ მესამე სკამების რიგში გადამისროლეს, დავეცი და ცემა დამიწყეს. აქ მყოფმა მინა ამირეჯიბმა ნაბადი გადამაფარა, ამის წყალობით შემდეგ-კი მუშტების ძალას იმდენად აღარა ვგრძნობდი. შესაძლებელია მოგერების დროს ეგებ ვისმეს ხელი მომიხვდა, მაგრამ არ მაგონდება; ასე რომ, მე კი არავისათვის მიცემია, მე მცემდენ.

(გაგრძელება იქმნება).

უცხოეთი

ჩინეთი. კოპენგაგენში გამოდის გაზ. „Nationaltidende“, რომელმაც დიდი ხანია მოიხვეჭა პოლიტიკურ ცნობების ფრიად სარწმუნო წყაროს სახელი. აი ამ გაზეთში იყო ამას წინად ნათქვამი, რომ რუსეთის და გერმანიის იმპერატორების უკანასკნელის მუსაიფის საგანს მანჯურიის გამოცხადება რუსეთის სამფლობელოდ. შეადგენდაო გერმანიამ ეს ცნობა ისე მიიღო, როგორც აუცილებელი დასკვნა მანჯურიაში რუსეთის ჯარის შესვლისაო.

— შანხაიში ხმა დადის, რომ ჩინეთის შუაგულსა და სამხრეთს პროვინციებში მოკრივეები და მათი თანამგრძნობლები ხელ-ახლა აპირებენ ამბოხებას. ამბობენ, რომ მოკრივეებს ახალი სისტემის სამხედრო იარაღი უშოვიათ.

— ჩინეთის იმპერატორის ბრძანებით, როგორც პეკინიდგან აუწყებენ საფრანგეთის გაზეთებს, არსდება განსაკუთრებული კომისიები, რომლებსაც ევალებათ გამოიძიონ და მიიღონ ზომები რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

სამხრეთი აფრიკა. პრეზიდენტის კრიუგერის მინდობილობით ბურების რწმუნებულნი ფიშერი, ვესსელი და ვოლმარანსი ჩრდილოეთ ამერიკაში მიდიან ახალის პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის სანახავად და იმასთან მოსალაპარაკებლად.

— კრიუგერი ზამთარს ჰოლანდიაში გაატარებს, თუ რაიმე მოულოდნელი გარემოებანი არ აიძულებენ სხვაგან სადმე წასვლას.

გერმანია. გერმანიის სოციალ-დემოკრატთა პარტიამ თავისი უკმაყოფილება გამოუცხადა ბერნშტეინს, რომელმაც მარქსის მოძღვრების მიმდევრობას თავი დაანება.

— გერმანიის გაზეთებს შეუტყვიათ, რომ თვით იმპერიის კანცლერი ფონ-ბიულოვი საჭიროდ სთვლის გადაშინჯულ და შესწორებულ იქმნას საბაჟო გადასახადების კანონ-პროექტიო. ამ პროექტით დიდი ბაჟები ედებათ შემოსატან საქონელს და რადგანაც გერმანიაში საქონელი, სახელდობრ პური და სხვა სამეურნეო ნაწარმოები, უმთავრესად რუსეთიდამ შემოაქვთ, ამიტომ გერმანიის აგრარიები დიდათ მომხრენი არიან ამ პროექტისა. იმათ იმედი აქვთ, თავიანთის ნაწარმოებით გასდევნონ გერმანიის ბაზრიდამ რუსეთის პური. რუსეთსა და გერმანიას შორის ჯერ-ჯერობით სავაჭრო ხელშეკრულება ჰმოქმედებს, მაგრამ ამ ხელშეკრულებას მალე ვადა გაუთავდება.

ინგლისი. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესმა, რომელსაც ამ ჟამად გლასგაში აქვს სხდომები, გამოსცა მოწოდებაც; ამ მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „არ არსებობს უფლება დაპყრობისა. ყოველს ერს აუცილებელი, განუშორებელი უფლება აქვს თავისუფლად ჰმართოს თავისი საქმეები. ერის ავტონომია დაურღვეველია. დადგა დრო და შეიგნო ხალხმა, რომ მშვიდობიანობა არსებობის კითხვაა. მშვიდობიანური წინმსვლელობა მხოლოდ მაშინ გაძლიერდება, როდესაც დაარსდება საერთო იურიდიული კავშირი განათლებულის ერებისაო“.

— „რეიტერის სააგენტო“ იცნობება ბომბეიდამ, რომ 15 სექტემბრიდამ ინგლისის სამხედრო საზღვაო ძალა სპარსეთის ყურეში იკრიფება. ინგლისის 3 სამხედრო გემი უკვე მივიდა იქ და 2-იც გზაზეა. ინგლისელებს შიში აქვთ, რომ კოვეიტში ხელახლა დაიწყება არეულობა. ბოსორში 30,000 ოსმალეთის ჯარი სდგას და, თუმცა პორტა ირწმუნება, ვითომც ეს ჯარი არაბეთზე იემენში გასაგზავნად იყოს იქ, მაგრამ ამას არავინ იჯერებს. ინგლისელები დარწმუნებული არიან, რომ ოსმალეთი კოვეიტის დაპყრობას აპირებს.

— „Siécle“-ს სწერენ ლონდონიდამ, რომ მთავრობას განძრახვა აქვს პარლამენტის სესსია მოიწვიოს, თუ საჭირო იქნება სამხრეთ აფრიკაში ახალის ჯარების გაგზავნა.

შეერთებული შტატები. ვაშინგტონიდამ სწერენ ლონდონის გაზეთებში, რომ რუზველტი სამხრეთ-აფრიკის ინგლისთან ბრძოლაში ჩარევას არ აპირებს და არც შუამავლობა ჰსურს იკისროსო.

ოსმალეთი. „Standart“-ს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდამ, ვითომც სომხეთში არეულობის მოხდენა გამოწვეული იყოს ფარულის ოსმალთ-ქურთების საზოგადოებისაგან, რომელსაც აზრად აქვს ევროპა ჩაერიოს ოსმალეთის შინაურს საქმეებში.

— ოსმალეთიდამ ბერლინში ცნობები მისულა, ვითომც სულთანი მეტად დაუძლურებულიყოს და ავად გამხდარიყოს. ბერლინიდამ თვალყურს ადევნებენ, რომ ინტრიგებმა კანონიერი მემკვიდრე ტახტისა არ დაჩრდილონ და რომელიმე სხვა პრინცი არ ჩააყენონ იმის ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესადა გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზ. „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც კრებულისა, ისე მრევლის მხრივ ქალაქ ფოთის ვაჭარს კონსტანტინე გოჯასპირის-ძე რუხაძეს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს ქუტირის წმ. გიორგის ეკლესიას 80 მანეთად ღირებული გარდამოხსნა შემოსწირა.

ქუტირის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ივლიანე ბახტაძე.

ახალი წიგნი:

რედაქციამ მიიღო კავკასიის საიუბილეო გამოფენისათვის რუსულს ენაზედ გამოცემული წიგნი „Молочное хозяйство на Кавказѣ“ ალექ. ქალანთარისა. წიგნაკი პატარა ზომისაა, ტფილისში დაბეჭდილი „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ სტამბაში, შეიცავს 59 გვერდს და ღირს 10 კაპ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

22 სექტემბერი.

პეტერბურგი. დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე პეტერბურგში დაბრუნდა.—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი პეტერბურგში დაბრუნდა.

კიევი. ეპარქიალურმა კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეკლესიების ელექტრონით განათება შეუძლებელიაო. სჯულის კანონების მხრივ კრება არ შეეხებია ამ საქმეს. კრებას შესაძლებლად მიაჩნია საკრებულო ტაძრების ზოგიერთი ნაწილი განათებული იყოს ელექტრონით, მაგრამ იმ პირობით, რომ საეპარქიო სანთლის ქარხნების სასარგებლოდ საჭირო თანხა შეიტანონ; კრებამ გადაჭრით დაადგინა, რომ ქორკანდელებისა და შანდლების ელექტრონით განათება არ შეიძლებაო.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის შენობის აგება დაამთავრეს; სააქტო დარბაზი სრულიად მზად არის.

მოსკოვი. 21 სექტემბერს ჩელიაბინსკის ახლო საქონლის მატარებელი № 91 რელსებს გადასცდა და 14 ვაგონი ხუთი არშინის სიმაღლიდგან ძირს გადავარდა; რკინის გზის მოსამსახურეთაგანი ერთი მოკვდა და სამი დაშავდა. ციმბირის მატარებელმა 9 საათით დაიგვიანა.

კოპენჰაგენი. პარლამენტი მეფე ქრისტიანე IX-ისა საბერძნეთის ბატონიშვილის გიორგისა, სამეფო გვარეულობის სხვა წევრებისა და სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენლების თანადასწრებით გაიხსნა. მეფემ ქრისტიანე მე-IX შემდეგი შინაარსის სეფე სიტყვა წაიკითხა: „დიდი ხანია ჩვენ თითონ აღარ გაგვიხსნია პარლამენტი, მაგრამ ეხლა ისევ მოვისურვეთ პირადად გადავცეთ პარლამენტს ჩვენი მეფური სალამი. როცა ახალი სამინისტრო შევადგინეთ, ჩვენის ერის უმეტესობის სურვილი შევასრულეთ და ქვეყნის მმართველობა ისეთს კაცებს ჩავაბარეთ, ვისაც ხალხი ენდობოდა; იმედი გვაქვს, ჩვენგან ამორჩეული სამინისტრო და პარლამენტი მხნედ იმუშავებენ ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ. მტკიცე იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ მთავრობა და პარლამენტი საგარეო საქმესაც კარგად წარმართვენ და საშინაო რეფორმებსაც მოახდენენ: სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლების განვითარებას ხელს შეუწყობენ და ხალხის ეკონომიურსა და სულიერს ცხოვრებას გააუმჯობესებენ. როცა-კი შესაძლებელი იქნება, ჩვენი მინისტრები თან-და-თან კანონ-პროექტებს შემოიტანენ და კონსტიტუციის კანონით აღთქმულს რეფორმებს მოითხოვენ; სასამართლოების წესებს გააუმჯობესებენ; ჩვენის ქვეყნის დაცვის საქმეს უკეთესად მოაწყობენ და გადასახადებს უფრო სამართლიანად გაანაწილებენ. მინისტრები მოითხოვენ აგრეთვე ისეთს რეფორმებს, რომ ჩვენი მრეწველობა, საეკკლესიო საქმეები და სათემო თვით-მმართველობა გააუმჯობესონ. ვისურვებთ, რომ როგორც ამ საქმეში, ისე სხვა საქმეებშიაც თანხმობით იმოქმედოთ. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს ჩვენი ერი და სამშობლო. ვაცხადებ, რომ პარლამენტის სესსია გაიხსნა“. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ მეფისა და კონსტიტუციის პატივსაცემლად „ურა“ წარმოსთქვა, რომელიც პარლამენტის წევრებმა ძლიერის ხმით ცხრაჯერ გაიმეორეს.

ლონდონი. როგორც ისმის, მეფე თითქმის მთლად მორჩენილა ქარებისაგან.

პარიჟი. რუსულის ენის გასავრცელებლად პარიჟის სამხედრო კლუბში კურსებს გაჰხსნიან, სადაც ყველა ფრანგ-აფიცრებს რუსულის ენის შესწავლა შეეძლებათ. კურსები 3 ოქტომბერს გაიხსნება.

პეტერბურგი. 22 სექტემბერს ბალოსნობის გამოფენა გაიხსნა.

23 სექტემბერი.

ლონდონი. ნაღმიანი გემების ალლუმის დროს, გუშინ, მარგატეს მახლობლად, გემი „ანგლერი“ გაქანებული გემს „სალმონს“ დაეჯახა და ფოლადის სალტები ბურღიანად მოჰგლიჯა. „სალმონმა“ ნიშანი მისცა: „მძირავსო“. ნაღმიანმა გემმა „ლემ“ უშველა. ორივე დაზიანებული გემი შერნესში მოიყვანეს. ხალხი არ დაღუპულა. ამ ამბის გამოძიებას შეუდგნენ.

ბერლინი. „Vossische Zeitung“-ს კერძო ცნობა მიუღია ბელგრადიდგან, ვითომ სერბიის დედოფალს ნატალიას კათოლიკეთა სარწმუნოება მიეღოს.

ბუდაპეშტიდგან კერძო ცნობა მოვიდა, არჩევნის დროს ჩხუბი მოხდა და 20 კაცი მოჰკლესო, ზოგან ცეცხლიც წაუკიდეს სახლებსაო. მთავრობის დასმა აქამდე 37 ადგილი დაჰკარგა.

24 სექტემბერი.

არხანგელსკი. 23 სექტემბერს მთლად დაიწვა ულსენის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სატყეო ბირჟა ქვა-ნახშირის საწყობითურთ. ზარალი სამას ათასამდე მანეთია.

ეკატერინოსლავი. 23 სექტემბერს გაიხსნა მეორე რეალური სასწავლებელი ახალის ტიპისა, რომელშიაც მსურველთ ლათინური ენის შესწავლაც შეუძლიანთ უნივერსიტეტში შესასვლელად. სასწავლებელი ქალაქის ხარჯით გაიხსნა, ერობა მხოლოდ სუფსიდიას აძლევს.

კრონშტადტი. მაიორის ხოლმსის რაზმა 18 სექტემბერს მარეს ბანაკი აიღო, რომელიც ზანდრივერიდგან ჩრდილოეთით მდებარეობდა. ბურებმა დაჰკარგეს: 2 მოკლული, ორი დაჭრილი, 20 ტყვეთ წაყვანილი. გარდა ამისა, დაჰკარგეს 26 ურემი და 800 სული საქონელი.

მოსკოვი. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა დღევანდელი არჩევანი უცბად შეწყვეტილ იქმნა; შემთხვევით აღმოჩნდა, რომ 60 კანდიდატი საკანდიდატო სიაში მეტანიელი სრულიად არა ყოფილა.

ტომსკი. დიდის ამბით გახსნილ იქმნა საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს ტომსკის გუბერნიაში სასოფლო უფასო წიგნთ-საცავებსა და სამკითხველოების გავრცელებას ხელი შეუწყოს.

ბორისოგლებსკი. გადამხმარი და გაყვითლებული მინდვრები წვიმების შემდეგ ცოტა არ იყოს გამოცოცხლდა. პურის ფასებს სამხრეთ-დასავლეთს მხარეში ცვლილება არ ეტყობა. გასაზიდად ცოტასა თხოულობენ.

ვენა. ჩეხელი დეპუტატი კრამარჟი გაზეთების მიერ გავრცელებულს ხმას უარ-ჰყოფს, ვითომ ცოლის შერთვის გამო მართლ-მადიდებლობა მიეღოს.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მისვლა-მოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

გამგეობა

ქუთაისში წყლის მილის გამყვა
ა. დ. მიხაილოვისა და კომპ
ამხანაგობისა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ პირველ სერიის აპები გავიდა და გამოცემულ იქმნა მეორე სერიის პაები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, გამგეობის კანტორაში, ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში, და ქუთაისს ამხანაგობის კანტორაში. (3—207—3)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავ მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებსა ამასთან მყიდველეს თმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში, რისთვისაც ყველ მაშინის შეძენის მსურველ ვთხოვთ მობრძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენი: გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 5 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 756

(25—16[illegible]—11)

სააფთეაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т‒во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—92)

* * *

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Сентября 1901 г.
სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118.
რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**